# სახალხო გაზეთი

№ 1042 ოთხშაბათი, 13 ნოემბერი 1913 წ. № 1042

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.



წერა-კითხ. გამ. საზოგად. კავკავის განყოფილება აუწყებს განსვენებულ საზოგადო მოღვაწის

## მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის

პატივისმცემელთა საყურადღებოდ, რომ პარასკევს, 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, განსვენებულის საფლავზე (დიდუბის ეკლესიის ეზოში), დანიშნულია პანაშვიდი მის სულის მოსახსენებლად, როგორც კავკავის ქართული სკოლის დამაარსებლისა, ამ სკოლის დაარსებიდან 25 წლის შესრულების თავზე. 802



## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1913 წ.

ბენეფისი ტასო აბაშიძისა

წარმოდგენილი იქნება: **ვაი ჭკუისაგან,**

კომედია 4 მოქმ. ა. გრიბოედოვისა, თარგ. განდეგილისა.

ამ პიესისათვის შეკერილია ახალი ტანთსაცმელები, დახატულია ახალი დეკორაციები. რეჟისორი **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.**

მონაწილეობენ: ქ-ნნი **ტასო აბაშიძე**, ასათიანი, ჯავახიშვილი, ქიქოძე, მდივანი, პიერეტი, სალარაძე, სინაურიძე, თოიძე, მაჭავარიანი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მამფორია, მესხი, სარაული, თარალაშვილი, ურუშაძე, ხონელი, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი და სხვ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. სად. 8 ს.**

**მზადდება** წარმოსადგენად: „სინათლე", „დამარცხებული რომი", „დიდებული არტისტი", „ჰამლეტი" და სხვა. ადმ. ქართულ. დრამ. საზ.



## ქუთაისის ქალაქის თეატრი

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1913 წელს გაიმართება

## სალიტერატურო საღამო

1. **განყოფილება. სამსონ დადიანი** წაიკითხავს ლექციას: „მე-XIX საუკ. ქართული კაზმული ლიტერატურა."
2. **განყოფილება.** წაიკითხავენ თავის ნაწარმოებთ: **სიტყვა** (ფირცხალავა), **გრ. დიასამიძე, დ. თომაშვილი, დ. მესხი, ჯ. ჯორჯიკია, ა. შუშბაძე, სეგდიანი, გუცა დ. სხვ.** 1590



პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი

## ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

**დღეს, 13 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება**

## დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

მე-24 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.**

**დებიუტი გიმნასტი დების პეტერსონისა და ჟონგლიორ ხელონისა.** პირველი დებიუტი ამერიკელი მხიარულების ხელმწიფისა ჯაკსონისა. დღეს ჭიდაობენ: კოსტა ბაიბურიძე და დონ-რონდო (უწინდელი მასკა), ჟან სებატიე და ზალევსკი; გადამწყვეტი ჭიდაობა ივ. კაინისა და ლუკა კოპიევისა.

861 **დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.**



## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

## გაიხსნა ახალი საეონსკლი

სეზონის ბოლოს გადარჩენილი საქონელი ლიუკ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასებს 30% დაკლებით. დარწმუნებული ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება **დამზადებული ტანისამოსისა.**

მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები" და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

1491 პატივისცემით **ძ-ნი პორტუგალოვისა.**



## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

| | |
|---|---|
| ქართლის ცხოვრება. მარიამ დედ. ვარ. | 3 მ. |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა — | 1 მ. |
| „ ბროსესი, 1-ლი, | 70 კ. |
| „ „ „ II— | 70 კ. |
| ჯანაშვილი მოს. ალვადგინე, ანუ „სამი ისტორიული ქრონიკის და წმ. ნინოს ცხოვრების" გასაგებ შესასწორ ხახელმძღვანელო — — — | 30 კ. |
| — ნაშრომი 1-ლი — — — | 20 „ |
| — „ მე-2 ე — — — | 20 „ |
| — „ მე-3-ე — — — | 20 „ |
| — საქართველოს ისტორია — | 1 მ. |
| — მეფე ერეკლე — — | 10 „ |
| — უკვდავეთა ღიდღებანი — | 10 „ |
| — ფარსადან გორგიჯანის ძე და მისი შრომანი — — — | 40 „ |
| — ქართული მწერლობა — — | 80 „ |
| ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია — — — — | 80 „ |
| — საქართ. ეკონომიური ისტორია | 40 „ |
| — საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია — — | 15 „ |

**ახლად მიღებული წიგნები:**

| | |
|---|---|
| ძველი ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვასი — — | 2 მან. |
| გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა ს. კაკაბაძისა — — — | 30 კ. |
| **თაყაიშვილი ექვ.** Археологическія экскурсіи, вып. 4— — | 75 კ. |
| ამირანის ლექსი, პ. მირიანაშვილისა | 30 კ. |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917



ყვირილის **სამარხი კასის გამგეობა**

აღნიშნულ დაწესებულების წევრთ სთხოვს დაესწრონ კასის მორიგ

## წლიურ საზოგადო წევრთა კრებას,

რომელიც დანიშნულია **ხუთშაბათს, 28 ნოემბერს,** დილის 9 საათზე, **დ. ყვირილაში**, ყვირილის საკრებულოს დარბაზში.

**განსახილველი საგნებია:**

1) 1911 და 1912 წლების ანგარიშების განხილვა-დამტკიცება.
2) მოხსენება გამგეობისა კასის საქმეთა შესახებ.
3) მოხსენება სარევიზიო კომისიის წევრთა.
4) არჩევა გამგეობის ორი წევრის და მათი კანდიდატებისა.
6) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა. 1594



## ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება

მოხდება 14 ნოემბერს, ხუთშაბათს, „ახალი კლუბის" დარბაზში. განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება 1912 წლის ანგარიშისა, 2) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში, 3) გამგეობისთვის შედგენილ ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება, 4) 1913 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავალი, 5) ახალ წევრთა მიღება.

კრება დაიწყება შუადღის 12 საათზე. 1564.



„გამოცემა სორაპნისა"

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული

## კედლის კალენდარი 1914 წ.

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ

ფასი 40 კაპ.

კალენდრის სურათები დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზად.

## სახალხო კალენდარი 1914 წ.

დასურათებული

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ ფასი 20 კაპ.

კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი" 1592.



ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468



ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა— **ჭლექი**— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასხივური ხნავებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქჩენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, და სხვა. შეღავათიანი საფასური. წ. 1466



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

**ექ. ქალი ოთხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით** 1462



## საგურამოში

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. ჟაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ექიმი მ. მ-ძე მანსვეტაშვილი**

გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

**ექიმი ძ. გორში** (დოკტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

**ექიმი** მღვდელი **ს. ა. ლეჟავა**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—17. 779

დოქტორი

**ი. ო. უკლადნიკოვი**

ბავშვებისა დ შინაგანი ავადმყოფობ. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—$7^1/_2$ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

**ექიმი პ. ლ. ქიქალიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.



დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი,**

**პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ.** დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ., № 18,** (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1 59

**ექიმი მაიფარიანი**

იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. **ქუთაისი,** ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30, **ტელეფონი № 150.** 1855

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ძლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი მ. მუსხელიშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.


## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საქართველოს ეგზარხოსის ალექსის** შესახვედრად 11 ნოემბერს დონის-როსტოკს გაემგზავრა მეფის მოადგილის ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი თ-დი ა. ზ. ქავქავაძე. დღეს ეგზარხოსის შესახვედრად ბალაჯარს მიემგზავრება სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მ. ტყემალაძე.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათა შორისო კომისიას უკანასკნელი კრება ექნება პოლიტეხნიკუმისთვის აღთქმულ მიწების საკითხის გამო. მთელი მასალა და ოქმები ამ დღეებშივე მეფის მოადგილეს წარედგინება.

✦ **ხარფუხის საქალაქო სამკურნალოს** გამგედ ქალაქის გამგეობამ ექიმი ასადულ ბეგ შახტატინსკი დანიშნა.

✦ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე** მონაწილეობის მისაღებად ტფილისს ჩამოვლენ: ერევნიდან—ქალაქის მოურავი ი. კ. მელიქ-აღამალოვი და ქალაქის ექიმი ტერ-მიქაელიანცი და მაიკოპიდან—ქალაქის მოურავის მოადგილე ს. მ. ტარასოვი, ქალაქის ექიმი ლ. გ. შვარცი და ქალაქის ხუროთმოძღვარი ნ. მ. სარუხანოვი.

საყინულეთა საქმის მოღვაწეთა კრების მომწვევ კომიტეტის მდივანი მ. ა. ვასილიევი კრებაზე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: 1) საყინულეთა მოწყობის საქმე, როგორც მომწესრიგებელი საბაზრო ფასებისა და 2) ტფილისიდან მოსკოვსა და პეტერბურგს ცივად მატარებლით სურსათ-სანოვაგის გაგზავნის ცდა და მისი შედეგი.

საარტისტო საზოგადოებისა და ავლაბრის კლუბის მამასახლისებმა დაადგინეს, კრების მონაწილეთ ნება დართონ კლუბებში უფასოდ სიარულისა.

კრებაზე ხმოსანი ი. გ. სულაბერიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგს თემაზე: „ქალაქის თვითმმართველობანი და საავიაქო საკითხი", ხოლო ა. ს. ბაბოვი წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ქუჩების მოკირწყვლისა და მოვლა-პატრონობის წესი".

12 ნოემბრამდე კრების მონაწილედ ჩაეწერა 154 კაცი.

✦ **„ვეფხის ტყაოსნის" ახალი გამოცემა.** დეკემბრის ოცში გამოვა

ახალი გამოცემა „ვეფხის ტყაოსნისა“ სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. ამ გამოცემაში მოთავსებული იქნება ხელნაწერების მიხედვით ს. კაკაბაძის მიერ გამოკვლეული ტექსტი შოთა რუსთველის პოემისა და „ვეფხის ტყაოსნის“ 14 რედაქცია. გამოცემას დართული ექნება გამოკვლევა შოთას ცხოვრების დროს შესახებ და აგრეთვე „ვეფხის ტყაოსნის“ უმთავრეს კომენტატორების ვინაობის შესახებ. წიგნი დასურათებული იქნება და ეღირება სამი მანეთი.

◆ **ტურგენევის საღამო.** ამას წინად 30 წელიწადი შესრულდა, რაც რუსეთის ცნობილი მწერალი ტურგენიევი გარდაიცვალა. ამის გამო 16 ნოემბერს საზოგადოებრივ კლუბში განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად საღამოს გაიმართება. ვ. ი. შამოვი წაიკითხავს მოხსენებას, რომელსაც საუბარი მოჰყვება. დასასრულ სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილება იქნება.

◆ **მუკუზანისა და იყალთოს მიწების დასათვალიერებლად** 21 ნოემბერს კახეთს მიემგზავრება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეული საგანგებო კომისია, რომელსაც თან მიჰყვებიან სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი და მიწის ნიადაგის გამომკვლევლი სპეციალისტი კალინინი. მუკუზანისა და იყალთოს მამულში, როგორც ვწერდით, ქართული სამეურნეო საზოგადოება ამერიკულ და დასამყნელ ვაზის სანერგეთა გაშენებას აპირობს.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულოს** კრება პარასკევს, 15 ნოემბრისათვის არის დანიშნული იმ ახალგაზრდათა შესამოწმებლად, რომელნიც წელს იყვნენ გაწვეულნი სამხედრო ბეგარაში და მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ. წელს სულ 282 კაცი უნდა ჩაერიცხათ სამხედრო სამსახურში. დღემდე მიიღეს 157 კაცი. აკლია 125.

◆ **უძრავ ქონებათა ცეცხლისაგან დაზღვევ საქალაქო საზოგადოების** საქმეთა გამომრკვევ დროებით კომისიის პირველი კრება 11 ნოემბერს მოხდა. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ლ. თ. ტიგრანოვი.

◆ ქა... [illegible] მაზრის მამულში, ეგრედ წოდებულ „საფალავანდო“-ში, რომელიც თ-დთ ფალავანდიშვილებსა და ანანიაშვილებს ეკუთვნის, ქვანახშირის მადანი აღმოჩენილა. ნიმუშები ტფილისს ჩამოიტანეს და შეამოწმეს. ქვა-ნახშირი მეტად კარგის ღირსებისა აღმოჩნდა.

◆ 15 ნოემბრისთვის ქალაქის გამგეობა ხმოსანთა საგანგებო კრებას იწვევს **საალმაშენებლო განყოფილების** რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად.

◆ **რეალურ სასწავლებლის** წმ. იოანე ოქროპირის ეკლესია დღეს, 13 ნოემბერს, თავის დღესასწაულსა უქმობს.

◆ **ანტონ ფურცელაძის** გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო სამძიმრის დეპეშა დორპატის ქართველი სათვისტომოსაგან. **ქუთაისიდან** ლადო ბზვანელისაგან.

◆ **გაზეთის აკრძალვა.** საცენზურო კომიტეტის განკარგულებით სომხურ გაზეთ „ორიზონის“ კვირირინდელი ნომერი (254) გაყიდვა აკრძალეს.

◆ **ქალაქის საბჭოს სატყეოსაბაღოსნო კომისიამ** დაავალა ქალაქის მიწის მზომლის თანაშემწეს რაზვოდოვსკის შეადგინოს გეგმები ქალაქის ყველა ბაღისა, ტყისა და სკვერისა.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საკრედიტო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 14 ნოემბრისათვის არის დანიშნული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ასარჩევად.

◆ **ტფ. საგუბერნიო საგრონომიო** თათბირი ამ დღეებში განიხილავს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობას საერობო თანხიდან 65,000 მან. მიცემის თაობაზე. შუამდგომლობა 11 ნოემბერს წინასწარ განიხილა თათბირის სატეხნიკო კომისიამ და შუამდგომლობის დაკმაყოფილება საჭიროდ აღიარა.

◆ **მეჩექმე მუშათა საპროფესიო საზოგადოების** კრება 10 ნოემბერს მოხდა. კრებამ აირჩია საზოგადოების გამგეობის ცხრა წევრი.

## ქუთაისი.

◆ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად ვიშნიაკოვი დაინიშნა.

◆ სამტრედიიდან ხონამდე რკინის გზის გაყვანა განუზრახავთ. ხონში ინჟინერიც ჩასულა გზის გამოსაკვლევად. გზა კავკასიის რკინის გზის გამგეობას გაჰყავს.

◆ ერთ კვირაზე მეტია, რაც ქუთაისში შინაური ფრინველებისა და კურდღლების გამოფენაა. ხალხი გამოფენაზე ბლომად დადიოდა. გამოფენის მომწყობთ აზრად აქვთ ხალხში შინაური ფრინველების კულტურულად მოშენების საქმე გაავრცელონ. გუშინ გამოფენა გორისკენ გაემგზავრა.

◆ რადგან გაზეთ „თანამედროვე ქვეყანის“ რედაქტორ-გამომცემელმა კ. ჯანელიძემ 300 მ. ჯარიმა ვერ გადაიხადა (გაზეთი დაჯარიმებული იყო გ. ჯულელის ნეკროლოგის მოთავსებისთვის), ის დააპატიმრეს და საგუბერნიო სატუსაღოში გაგზავნეს. მას ორის თვის ციხე აქვს გუბერნატორისაგან მისჯილი.

◆ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამად ძლიერ ცოტა სიმინდის ფქვილი შემოდის. ხელმოკლე მცხოვრებნი შევიწროებულნი იყვნენ ჯერ სიძვირით და ახლა სულ აღარ შემოდის.

## ბათომი

◆ **დაჭრილ-დახოცილებზე.** 5 ნოემბერს ბერძნის ქუჩაზე მომხდარ ამბის გამო პოლიცმეისტერი აცნობებს გუბერნატორს, რომ ყაჩაღ ლაბაძის რაზმის ნაწილი, რომელმაც დასჭრა პერემენინი, ჩაიდინა მრავალი ავაზაკობა და ბოლოს გაიტაცა ანანოვი, გადასვლას აპირებდა საზღვარ-გარეთ, ოსმალეთში. ერთი მათგანი, რომელმაც დასჭრა გლახუნა ურუშაძე და მოჰკლა აგენტი გავა, უნდა იყოს ალექსი თუში, რომელსაც აღმოაჩნდა 5800 მან. სულ ახალ-ახალი ასმანეთიანები. არც ერთ კითხვაზე, რომლებიც მიუციათ მისთვის პოლიციის წარმომადგენელსა და გამომძიებელს, მას პასუხი არ გაუცია. ისე მოკვდა. რომ მისი ვინაობა სავსებით არაა გამორკვეული. სიკვდილის დროს მისუსტებულის ხმით უთქვამს: „სადაური სადა ჰკვდებ, სად უთხრიან სამარესო“. აგენტი გავა გაასვენეს 8 ნოემბერს; გლახუნა ურუშაძე კი თავს კარგად გრძნობს და არა უშავს-რა.

◆ დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბათომში იწვის ხაჩატურიანცის სანავთის საწყობი. ზარალი მილიონამდეა.

## ფოთი

◆ 8 ნოემბერს ქ. ფოთში, ადგილობრივმა მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა კორესპონდენტ ვალია მენაღარიშვილის და როსტომაშვილის ინციდენტი. როსტომაშვილმა ამას წინად ვალიას ხელით შეურაცყოფა მიაყენა ქალაქის თვითმართველობის შესახებ გაზეთში წერილის მოთავსებისათვის. მოსამართლემ როსტომაშვილი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ოცი დღის ციხე.

## ჭიათურა

◆ ჭიათურის მახლობლად სოფ. სვერში 7 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, შვიდი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა გლეხს მურმანა ხოსიკიშვილს. მასპინძელი თავისი ორი შვილით და ერთი ნასალდათარი სტუმრით მარჯვედ დაუხვდა მისულებს. მოჰკლეს ერთი შეიარაღებულთაგანი და დასჭრეს სამი. ოთხი ტყვიით მისულებმა მოჰკლეს მურ. ხოსიკიშვილი და დასჭრეს მისი შვილი. ავაზაკებმა მკვდარი მოიტაცეს, ტყეში დამალეს და თვითონ გზას გაუდგნენ.

## სოხუმი

◆ ხუთშაბათს, 7 ნოემბერს **ავადმყოფი მგოსანი ირ. ევდოშვილი** სოხუმში ჩამოიყვანეს და პანსიონში მოათავსეს. ჩინებული გავლენა იქონია მგოსანზე ზღვის ჰავამ და მიწყნარებულ ზღვაზე მოგზაურობამ. სოხუმის მადლიანი თბილი ზამთარი და ხელშემწყო ჰავა, იმედია, საუკეთესო მკურნალობას გაუწევს ავადმყოფ მგოსანს.

# ტფ. ქალაქის საბჭო

**11 ნოემბრის კრება.**

კრება დაიწყო 8 საათ. და 40 წ. თავმჯდომარეობდა თ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

წაკითხული იქმნა და დამტკიცებული წინა კრების ანგარიში. წინა კრებაზე დადგენილი იყო, გამოეცხადოს ქალაქის მოურავს ავადმყოფ ალ. ხატისოვს კრების სურვილი, რომ იგი მალე განიკურნოს ავადმყოფობისაგან. თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს დიდი მადლობა ხატისოვისა ამ სურვილის გამო.

წაკითხულ იქმნა დეპეშა, რომელიც მოუვიდა საბჭოს სომეხთა კათალიკოსის გევორქ V-საგან პასუხად ქალაქის საბჭოს მილოცვაზე სომხურ ანბანისა და სომხურ მწიგნობრობის იუბილეს გამო.

თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს ამბავი ანტონ ფურცელაძის განსვენებისა.—აღნიშნა მოკლედ, რა ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ერთ დროს ქალაქის საბჭოს ხმოსნადაც იყო. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

**ხმ. პ. დოლუხანოვი.** რა მდგომარეობაშია ეხლა მტკვრის მარჯვენა ნაპირის საქმე; ეს ნაპირიო, სთქვა ხმოსანმა, ნამდვილ ჭაობს წარმოადგენს და მისი მდგომარეობა საშიშიც კი არისო.

**ხმ. სულხანოვი.** ჯერ ისევ 1911 წელს იყო გადაწყვეტილი, რომ ქალაქის საქმეთა ვითარება გაუმჯობესებული და გაწესრიგებული იყოს და აქამდესაც არაფერი გაკეთებულაო.

**ხმ. სულაბერიძე.** შესრულდა თუ არა ქალაქის გამგეობამ დადგენილებანი კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებისა, რომელიც ეხებოდა ქალაქის საქმეებსა და აგრეთვე მთელის კავკასიისთვის ფრიად საჭირო საქმეს—ერობის შემოღებას.

**თავმჯდომარე.** ხსენებულ კრების დადგენილებანი ორ გვარი იყო: ერთი ეხებოდა ქალაქის საბჭოებს, ეს დადგენილებანი თავ-თავის საბჭოებს მოახსენეს ქალაქების მოურავებმა, ხოლო მეორე დადგენილება—კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ და სხვ. მოახსენდა ტფილისის გუბერნატორს, რომლისგანაც გამგეობას ჯერ პასუხი არ მიუღია.

საბჭომ დაადგინა გადაეცეს იურიდიულ კომისიას გამგეობის მოხსენება ვიწრო ქუჩებში სახლების აშენების შესახებ.

**ხმ. თოიძე** სავეოს ყურადღება მიაქცია მანთაშოვის ახალ სახლს, რომელიც განოვის ქუჩაზე შენდება. შენობა ისე არა კეთდება თურმე, როგორც კანონი მოითხოვს.

**თავმჯდომარე** დავავალებთ ინჟინერს გასინჯოს სახლი და თუ აღმოჩნდა, რომ სახლის სიმაღლე კანონიერზე მეტია, სახლის ზემო სართულს მოვახსნევინებთ. აგრეთვე დათვალიერებულ იქნება ბერკოვიჩის სახლი კრილოვის ქუჩაზე.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ კანტროლის დებულების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ქალაქის გამგეობის წევრი მ. ათაბეგოვს საკუთარი აზრი წარუდგენია გამგეობისათვის. ეს აზრი ათაბეგოვმა მოახსენა საბჭოსაც. ათაბეგოვის აზრით ეხლანდელი კანტროლი სრულებით არ აღწევს თავის დანიშნულებას, რადგანაც კანტროლის მოხელეთა რიცხვი მეტად მცირეა, ჯერ ერთი, და მეორეც—არც ისეთი მოხელენი არიან, რომ მათ შეეძლოთ თვალ-ყური ადევნონ ქალაქის ყველა საქმეებს. კანტროლის მოხელემ ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის საქმე, რომელსაც დაავალებს გამგეობა ან საბჭო და ასეთი მოხელე კანტროლს არა ჰყავს.

გარდა ამისა, სთქვა ათაბეგოვმა,—კანტროლის მოხელეთ ეხლა დავალებული აქვთ მრავალი საქმე, რომელიც სრულებითაც საჭირო არ არის. კანტროლს დავალებული აქვს, მაგალითად, გასინჯოს დადგენილებანი—თუ რა საგანზე რამდენი ფულია გადადებული. რადგანაც ამ საქმეს გამგეობა ან ქალაქის საბჭო განაგებს, ამიტომ იგივე საქმე სრულებით არ უნდა ეხებოდეს კანტროლს. ევროპაში, მაგალითად, ამ გვარი კანტროლი სრულებით არ არსებობს. საკმარისია, კანტროლმა თვალყური ადევნოს მხოლოდ იმას, თუ როგორა სრულდება დადგენილება გამგეობისა და საბჭოსი, მართლა იმდენი ფული დაიხარჯა რომელსამე საგანზე, რამდენიც გადადებულია, თუ მეტი, ან ნაკლები. კანტროლმა აგრეთვე დროგამოშვებით უნდა შეამოწმოს ხოლმე—იმდენი ფული შემოვიდა ქალაქის კასაში, რამდენიც ერგება მას, თუ არა.

კანტროლი დიდი ხანი არ არის, რაც არსებობსო,—დასძინა ბოლოს ათაბეგოვმა. არ არის გამორკვეული მისი მოვალეობა. არა აქვს გარკვეული ინსტრუქცია; მთელ მის მოქმედებას რაღაც შემთხვევითი ხასიათი აქვს, დღეს გამგეობა ერთ საქმეს დაავალებს, ხვალ მეორეს. ამიტომ საჭიროა, შემუშავდეს კანტროლისათვის განსაკუთრებითი დებულება.

**ხმ. ა. ბაბოვი.** ჩვენს კანტროლს დიდი ნაკლი აქვს. წარმოიდგინეთ კანტროლის იმ მოხელის მდგომარეობა, რომელსაც ავალებენ გამოიძიოს ის საქმე, რომელიც მან კარგად არ იცის. რა უნდა მოეთხოვოს კანტროლის მოხელეს, რომელსაც ოთხი, ხუთი ან თუ გინდა ექვსი ან შვიდი თუმანი ჯამაგირი აქვს თვეში. კანტროლის მოხელეებად უნდა იყვნენ ინჟენერები, ხუროთ-მოძღვრები, ბუჰგალტრები და სხვა. მათ კარგად უნდა იცოდნენ ქალაქის ყველა საქმეები. ერთი გარემოება კიდევ ხელს უშლის კანტროლის ნაყოფიერ მოქმედებას. წარმოიდგინეთ მოხელეს მდგომარეობა, როცა მას ავალებენ ქალაქის მოურავისა ანუ გამგეობის წევრის მოქმედების განხილვას. მართალია, მადლობა ღმერთს, ჩვენ ისეთი წევრები გვყავს გამგეობისა, ისეთი მოურავი, რომ ვერავინ ეჭვს ვერ შეიტანს მათს კეთილსინდისიერებაში და სამართლიანობაში, მაგრამ ასეთი მდგომარეობა კანტროლისა ნორმალური და წესიერი არ არის. ხმ. ბაბოვი ამტკიცებს, რომ მართალია, ქალაქის გამგეობას საკუთარი კანტროლი უნდა ჰყავდეს, მართალია, ეს კანტროლი უნდა ემორჩილებოდეს ქალაქის გამგეობას, გამგეობა უნდა ნიშნავდეს კანტროლის მოხელეებს და გამგეობავე უნდა ითხოვდეს მათ სამსახურიდან. ასეთია კანონი და ამ კანონს გვერდს ვერ ავუხვევთ. გამგეობას უნდა ჰყავდეს თავისი კონტროლი და საბჭოს თავისი, რომელსაც წარმოადგენს სარევიზიო კომისია, მაგრამ გამგეობის კანტროლისათვის საჭიროა უფრო მცოდნე, უფრო ნასწავლი და უფრო გამოცდილი მოხელეები, ვიდრე ეხლა გვყავს და ყველა ამისთვის საჭიროა გაცილებით მეტი ფული, ვიდრე ეხლა არის კონტროლისთვის გადადებული.

**ხმოსანი ი. მ. დოლუხანოვი** კანტროლის უფლება და მოვალეობა სრულებითაც არ არის გამორკვეული. აუცილებლად საჭიროა შედგენილ იქმნას გარკვეული წესდება კონტროლისათვის. ეს საქმე საგანგებო კომისიას უნდა მიენდოს.

საბჭო დაეთანხმა ხმ. ევანგულოვს და კონტროლის დებულებისა და ინსტრუქციის შედგენა მიანდო საგანგებო კომისიას, რომელშიაც არჩეულ იქმნენ, მთელი გამგეობა და ხმოსნები: ფიშერი, კრელაშვილი, ი. დოლუხანოვი, სულხანიშვილი, ბაბოვი, ვაჩნაძე და ენფიანჯიანცი. კომისიამ დავალებული საქმე უნდა შეასრულოს 1914 წლის 10 იანვრამდე.

ბოლოს წაკითხულ იქმნა მოხსენება ხმოსანის ა. მიტკევიჩისა შესახებ იმისა, რომ საბჭომ ხელ მეორედ გადათვალიეროს თვისი დადგენილება ვარანცოვის ძეგლთან ქვაფენილის გაკეთებაზე დიდის მთავრის ქუჩაზე. ხმოსანმა გაახსენა საბჭოს, რომ მან დაადგინა 9 სექტემბერს ამ ქვაფენილის გამართვა და ამიტომ 4 ნოემბერს საბჭო უკანონოდ მოიქცა და დაამტკიცა ამ საქმისთვის საჭირო ხარჯი. მიტკევიჩს მიემხრნენ: ენფიანჯიანცი, თოიძე, ი. დოლუხანოვი, ქსავერიევი და სხვა. წინააღმდეგნი იყვნენ: ბაბოვი, ხუნუნცი და პ. დოლუხანოვი. ბაბოვი ამტკიცებდა—9 ნოემბრის დადგენილებით ჩვენ სრულებითაც არ დაგვირღვევია დადგენილება 9 სექტემბრისა. არ გადაგვიწყვეტია ქვა-ფენილის გაკეთება მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცოდით, საჭირო ფული გვაქვს თუ არა.

საბჭომ 23 ხმის უმეტესობით 11 წინააღმდეგ დაადგინა, გაგანიერდეს ვორონცოვის ძეგლთან დიდი მთავრის ქუჩა და გაკეთდეს ქვით ფენილი მტკვარზე იმ ფულით, რომელიც გადარჩა ჩანგრეულ კედლის აღსადგენად გადადებულ თანხა.

# დასელები და თავად-აზნაურობა

თხუთმეტი წელიწადია ქართველ საზოგადოების ორ ნაწილს შუა გაცხარებული ბრძოლაა ერის საკითხის გამო. ეს ბრძოლა თანდათან მწვავდება, ძლიერდება. ერის საკითხმა მისმა მდგომარეობამ ხალხის გულში უკვე მოიპოვა ბინა, იგი უკვე გადავიდა მასაში, აამოძრავა და ამის საუკეთესო მაჩვენებელი იყო შარშანდელი არჩევნები, როდესაც ერთმანეთს შეეტაკა სამი მიმართულება. ამ ბრძოლაში ერთხელ კიდევ გამომჟღავნდა ის ლოზუნგები და პრინციპები, რომელთა შესახებ ხმის ამოღება და წერა ამ უკანასკნელ ხანს სახიფათო იყო. ამ პრინციპებმა და ლოზუნგებმა დიდი ბრძოლა და ცხარე კამათი გამოიწვიეს. ცხოვრება, თავისი გაიტანა და ბრძოლის ველი იმათ დარჩათ, ვისაც უფრო კარგად ესმოდა საქართველოს საჭიროებანი, ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული ქართველი ერის მომავალი.

ამ ზემოხსენებულ ბრძოლას ჩვენი დასელებისათვის ბევრი რამ უნდა ესწავლებინა, თუ კი ცოდნის უნარი ჰქონოდათ, მაგრამ ალბად რაღაც უშლით ამ დარგში ხელს, თორემ იმას როგორღა დასწერდნენ, რასაც ახლა მათ გაზეთებში ვკითხულობთ.

სოციალ-დემოკრატებმა არჩევნების დროს საეროვნო ჰანგზე დაიწყეს სიმღერა და რაღაც ავტონომიასაც ახსენებდნენ (იხ. ნ. ჟ. „ძველი და ახალი“). მაგრამ რაკი იმედი გაუცრუვდათ, ეხლა შარშანდელ ცოდვებს ინანიებენ და რაც მაშინ ხალხის მისამხრობად წამოსცდენიათ, წელს გაბედულად უარჰყოფენ.

მოიგონეთ ბ-ნ ნარიძის წერილები.

ბ. ნარიძის წერილებს არსებითად არ შევეხებით. იქ ყველაფერი ადრე ნათქვამის განმეორებაა, განმეორება ავტონომიის საწინააღმდეგო „საბუთებისა“. ყველაფერი იქ „არ ახალია ძველია“. ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას, რაიც უეჭველი შესანიშნავი ექნება დაკვირვებულ მკითხველს. ეს გარემოება წარმოუდგება ადამიანს ჩვენებურ დასელების ნაწერების გადათვალიერების დროს და ამასვე მოწმობს ბ. ნარიძის წერილები.

რა გარემოებაა ასეთი? ეს გახლავთ ჩვენი თავად-აზნაურთა კონსერვატორ ნაწილისა და სოციალ-დემოკრატების საეროვნო პროგრამის იგივეობა, სრული სოლიდარობა და თანხმობა. არსებობს რაღაც იდუმალი ძაფი, რაღაც ფსიხოლოგიური საფუძველი, რომელიც იძულებულ ჰყოფს ჩვენს დასელებსა და თავადაზნაურობას ერთნაირად გადასწყვიტონ საეროვნო საკითხი, ერთნაირად იმსჯელონ ამ დარგში. ისინი აქ თანხმანი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან.

დასელების და თავად-აზნაურთა სულის განწყობილების იგივეობას თავისი ღრმა მიზეზები აქვს ჩვენს წარსულში ჩამარხული. ამის შესახებ ქვემოდ გვექნება მოკლე საუბარი. ეხლა კი აღვნიშნოთ ის მსგავსებანი, რომელიც ასოლიდარებს ამ მოწინააღმდეგე ძალას, დასელებს და თავად-აზნაურობის რეაქციონურ ნაწილს, ასოლიდარებს, რასაკვირველია, ფსიხოლოგიურად.

უპირველესად ყოვლისა, ჩვენი თავად-აზნაურობის მდიდარი, შეძლებული ნაწილი—მომხრეა საქართველოს აწინდელ მდგომარეობისა. მათის აზრით, შემოსულმა ძალამ ჩვენი ერი გააბედნიერა, დაიცვა მტრისაგან, ხელი გაუწოდა და მარადის მისი მადლიერნი უნდა ვიყვნეთ. ეს აზრი იყო ძველი თაობისა. თავადაზნაურობის წარმომადგენელმა მიხ. მაჩაბელმა 1905 წლის პირველ აპრილს, როდესაც თავად-აზნაურთა კრებაზე ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა ავტონომიის საკითხი წამოაყენა, შემდეგი დამახასიათებელი სიტყვა წარმოსთქვა: „დღეს დაგვიდგა საყურადღებო დრო, სწორედ ისეთი, როგორიც ამ ასის წლის წინად გამოიარა ჩვენმა სამშობლომ. კრიტიკულის თვალით რომ გავშინჯოთ წარსული, დავინახავთ, რომ რუსეთის გვირგვინოსანთ უყვარდათ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ბიუროკრატია ხელს უშლიდა, რომ მათ ეს სიყვარული საქმედ ექციათო“. აი, თავადაზნაურობის ლოიალური ფილოსოფიის საფუძველი. ფსიხოლოგიურად მათ უკვე დაკარგული აქვთ რწმენა საქართველოსი.

ასეთი არიან თავად-აზნაურნი. დასელები? დასელებიც საქართველოს არსებულ მდგომარეობას შეჰრიგებიან. ქართველი ერი, როგორც ცალკე ერთეული, დასელებისათვის არ არსებობს და მიტომ ისინი წინააღმდეგნი არიან საქართველოს საკითხის კერძოდ წამოყენებისა. დასელების ოცნება საქართველოს შესახებ რუსის ბიუროკრატიის მიერ შემოფარგლულ წრეს ვერა სცილდება. მათ არაფერა სწამთ საქართველო და ბ-ნი ნარიძე სწერს: „საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთ ეკონომიურ ორგანიზმს? ამაზე ჩვენ გადაჭრით ვუპასუხებთ: არა, არ წარმოადგენს“... შემდეგ: „საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთ ნაციონალურ ორგანიზმს? არა, არ წარმოადგენს“ („სიმ. ხმა,“ № 8.) სხვანაირად რომა ვსთქვათ, საქართველო აღარ არსებობსო.

გარდა ამ უილაჯობისა, დასელებსაც წარსული საუკუნე ჩვენდა გასაბედნიერებლად მოვლენილი ჰგონიათ. მაშინ დავბადებულვართ, მაშინ აგვიხელია თვალი და ქვეყანა გვიცვნია. და მერე ვისი მეოხებით? აბა, მოუსმინეთ: „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი, შეუჩერებელი წინსვლელობის და კულტურულად ამაღლების. და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალურ კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობითო“ სწერს ბ. ნ. ჟორდანია*).

ეს ერთი.

ჩვენებურ თავად-აზნაურობას ძლიერ ეშინიან საქართველოსათვის რისამე მოთხოვნისა. ზოგჯერ ისინიც გრძნობენ ჩვენს უმწეო მდგომარეობას და ალაპარაკდებიან ხოლმე, საქართველო ბედნიერია, კმაყოფილია თქვენს ხელში, მაგრამ... მაგრამ კეთილ ინებეთ და ერობა გვიბოძეთ, რომელიც დიდი ხანია გაქვთ თქვენა. კარგი იქნება თუ პირველდაწყებით სკოლებში სწავლება ქართულად იქნება. ნუ იფიქრებთ, ვითომ მოვითხოვთ რასმე. არა, ჭეშმარიტად სცდებით: ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ, ვითხოვთ მოწყალებას და თუ ასრულება შეუძლებელია, თქვენი ნებაა, თქვენ უფრო კარგად იცით ჩვენთვის ზრუნვა. თუმცა გვირევიან მეოცნებე ინტელიგენტები, მაგრამ მათი ავტონომიის მოთხოვნილება საბედნიეროდ უნიადაგოა, უმრავლესობა წინააღმდეგნი ვართო. ზემოხსენებულ კრებაზე, როდესაც ავტონომიის საკითხი წამოაყენეს, იმავე მ. მაჩაბელმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ: „დღევანდელი ქანც-გამოლეული საქართველო არ უნდა ოცნებობდეს რუსეთისაგან პოლიტიკურად განცალკევებას (?), ამ ოცნებით ჩვენ გავარისხებთ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ელემენტებს. ამრიგად არსად მოუპოვებიათ ავტონომია. დიდებულმა გლადსტონმაც ვერაფერი გააწყო, ირლანდიას ავტონომია ვერ მოუპოვა და დაიღუპა. შევუერთოთ ჩვენი ხმა დიდი რუსეთის ხმას და მოვითხოვოთ ის, რასაც ისინი ითხოვენ და არა ავტონომია“.

აქ შესანიშნავი ის არის, რომ სეპარატიზმის შიშით დამფრთხალი თავადიშვილი ავტონომიასაც ზურგს უბრუნებს. ქვემოდ დავინახავთ, რომ დასელებიც სწორედ ასე სჩადიან. ამ კრებაზე ავტონომისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეს იყო დროების მიერ გამოწვეული გამარჯვება ინტელიგენციისა და არა თავად-აზნაურობისა. ამას ადასტურებენ თვით დასელები. აი, რას ამბობს ამის გამო ა. ჩხენკელი: „ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ ამის შემდეგ (საავტონომიო პეტიციის შემდეგ) ჩვენი თავად-აზნაურობა in coprore ავტონომიის მომხრეთ წარმოადგინა, რაც დიდი შეცდომა იყო... რაც შეეხება ჩვენი თავად-აზნაურობის შეძლებულ და მასთან რეაქციონურ ნაწილს, მან კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის დღესასწაულზე დაგვიმტკიცა, რომ ის მხოლოდ და მარტო რუსეთის ბიუროკრატიის მფარველობის ქვეშ გრძნობს ჩინებულად თავს“...

ახლა დასელებს მივხედოთ.

მათი ბრძოლა ავტონომიის წინააღმდეგ ყველას მოეხსენება. თან და თან ჰკარგავდნენ პოზიციას, მაგრამ მაინც არა ტყდებოდნენ. არც ესლა სწამთ იგი და ბ. ნარიძის წერილები სწორედ ამ ავტონომიის „გასანადგურებლად“ არის დაწერილი. იგი ამბობს: „საქართველოს ავტონომია სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიურ ინტერესებს“. „ავტონომია აქ იარაღია ბატონობის და არა თანასწორობის (ახლანდელი სახელმწიფო თანასწორობის იარაღია? ქ. რ.). ასე იქნება ჩვენშიაც. აქ ქართველი გაბატონებული კლასები ჩაიდენენ იმასვე, რასაც სჩადიან გალიციის პოლონელთა გაბატონებული კლასებიო“, ამბობს ბ. ნარიძე იქვე („სიმ. ხმა“ № 8). ეს ჩვენი გაბატონებული კლასები კი წინააღმდეგნი არიან დასელებთან ერთად ამ ავტონომიისა. თქვენ თითოეულნივე არა სწერთ: ბურჟუაზიული ელემენტები, „რუსეთის კალთის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი-უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის მომხრე... ამგვარად, ბურჟუაზია, ყველგან ნაციონალისტი, ჩვენში თავიდანვე ანტინაციონალისტად გამოდისო“ (ნ. ჟ. „რჩ. ნაწ. გვ. 573.“)

გარდა ამისა, ჩვენებურ დასელებს ძლიერ ეშინიათ „რუსეთის საუკეთესო ელემენტების გარისხებისა.“ ისეთი ხათრი და მორიდება აქვთ, რომ მაჩაბელსაც გადააჭარბეს და ოცნებითაც ვერ წარმოუდგენიათ თავისუფლება საშინაო საქმეებში მაინც. მათაც ძლიერ აფიქრებთ სეპარატიზმი და ბ. ნ. ჟ., უპასუხებს რა არჩ. ჯორჯაძეს, სწერს: „ჯორჯაძე

*) „რჩეული ნაწერები“ გვ. 568.

# ხიზნების დასახლება საფალავანდო მამულში

### 1. ცნობები საფალავანდო მამულისა.

საფალავანდო მასალის ტყეს უჭირავს—12490 დეს., ბუჩქნარ-წვრიმალა ტყეს უკავია—2233 დეს., ხიზნები ფლობელობენ—9820 დეს., დროებით ვალდებულ გლეხებს ნადელები აქვთ მიცემული „უსტავნი გრამოტით“—655 ნახ. დეს., და ტყითაც სარგებლობენ—300 დეს. გლეხებზედ და სხვა პირებზედ გადავიდა საკუთრებად—2030 დეს. და მემამულეები ფლობელობენ—2000 დეს.

### 2. ხიზნების დასახლება.

მთელი დასახლება საფალავანდო მამულში იწყება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან. ამ დროიდან სოფ. ბალთაში, ძალინაში, იღუორაში, წორბისში, ბეყმარში ასახლებენ მემამულეები ხიზნებს.

ამს შემდეგ შეუჩერებლივ ესახლებიან საფალავანდო მთაში.

1850 წლიდან ასახლებენ ხიზნებს და გაშენდა შემდეგი სოფლები: ლარისთავი, მეტეხი, სხლითი, ხტანა, თორმანეული, ამბრეთი, განიანთკარი, ხოდა, ფრინევი, მუდრისი და ქვათეთრი.

მემამულეები ერთი-ერთმანერთის ჯიბრით—არა ძალ-მომრეობით და არა ადგილ-მამულის დაჭერით, ასახლებენ ხიზნებს და ამ შეუხებელ ტყეებს ქართლის სიმდიდრეს უწყალოდ სისტემატიურად აკაფვინებენ.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ერთი-ორად მატულობს ხიზნების დასახლება. ამ დროს იწყება შემდეგი სოფლების გაშენება: ქურიხევი, ერწო ნაგუთნი, ნავათ-მორევი, ფიქვიგინა, ლოპანი, გვირგვინა, ლისა, გადიგინა, თელაგინა, ტოტონაური, სამწყალი, კოროჟის-უბანი, ციხიანი, თხის-ზურგი, ქვრინისი და გიორგი-წმინდა.

1890 წლიდან მემამულეები არ სცხრებიან და ისევ განაგრძობენ ხიზნების დასახლებას, შეუბრალებლად სპობენ გაუვალ ტყეებს და შენდება შემდეგი სოფლები: ბზების-ხევი, ჯვარი, ბოსტანა, თელიანი და ქიშილდას-ახო.

ამას არ კმარობენ, ამითი არ კმაყოფილდებიან, დროებით-ვალდებულ გლეხებსართმევენ ჩამონაჭრებს და ზედ ხიზნებს ასახლებენ.

თერეგვანი, ახალშენი, ხუნდისუბანი და შინდარა განსაკუთრებით დროებით-ვალდებულ გლეხებს ეჭირათ, შემდეგ როცა ბატონ-ყმობა გადავარდა, ამ სოფლებში ჩაუსახლეს ხიზნები.

### 3. ხიზნების ვალდებულობანი.

მემამულეს სასარგებლოდ ხიზნები ისდიან პირად სამსახურს: 1) მახტის ანუ მუშის ფული. თითო კომლი იძლევა ყოველწლივ 6 მანეთიდან—12 მანეთამდის, 2) ვინც ფულს არ იხდის, მუშა აქვთ დადებული 12-დან 24 დღე უნდა მოეხმაროს მემამულეს, რაშიაც დაისაჭიროებს, 3) ერთი კვირა ცხენიანი კაცი უნდა ეახლოს მემამულეს, 4) ერთი ურემი სარი, 5) ორ წელიწადში ერთხელ ერთი ურემი მარგილი, 6) ერთი საკლავი, 7) შობისა და აღდგომის ძღვნები, 8) საყველიერო, 9) ლალის ქათმები და 10) ლალა კოდ-ნახევარი (7 ნახ. ფუთი) დღიურზედ, რაც მოხნული და დათესილი იქნება, უნდა იხადოს.

### 4. სოფლების სივრცე და მცხოვრებნი.

ქვემო ცხრილიდან დავინახავთ, რომ ხიზნებს უჭირავთ ზომით 9820 დესეტინა მამული, მათ შორის სოფლები: ქურიხევი, ფიქვიგინა, ნაგუთნი, ერწო, მუხაური, საყარაულო, ნავათ-მორევი, ლისა, გადიგინა, თელაგინა, ტოტონაური, გვირგვინა, ჯვარი, ბზების-ხევი, თელიანი, ბოსტანა უვარგის მამულად ჩაითვლება. მეორე ხარისხად ჩაითვლებიან: ლოპანი, მეტეხი, ჩდილი, ღვიაგინა, ამბრეთი, განიანთ-კარი, კროჟას-უბანი, თხის-ზურგი, სამწყალი და მუდრისი.

პირველ ხარისხად უნდა ჩაითვალოს: ქვა-თეთრი, ქვრინისი, ქალეთი, ბალთა, გიორგი-წმინდა, ლარისთავი, ძალინა, თერეგვანი, ახალშენი, ხტანა, ციხიანი, წორბისი, ბეყმარი, თორმანეული, ხოდა, ფრინევი და სხლითი.

**ცხრილი სოფლების სივრცისა და მცხოვრებლებისა.**

| სოფლები | სახაზინო: მცხოვრებნი. | სახაზინო: სახნავი დესეტინა | სანადელო: მცხოვრებნი | სანადელო: სახნავი დესეტინა | სოფელთ რამ. დესეტ. ტყე უჭირავთ | სოფელი რა ეროვნებას ეკუთვნის |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვათეთრი | 38 | 324 | — | — | — | ოსი |
| ხოდა-წუნარის არკნეთი და კროჟას უბანი | 39 | 340 | — | — | 72 | ოსი |
| ბეყმარი, თორმანეული, ამბრეთი და განინ-კარი | 135 | 800 | — | — | 70 | ოსი |
| სამწყალი, ფრინევი-თხის ზურგი | 36 | 350 | — | — | 228 | ოსი |
| სხლითი | 47 | 222 | — | — | 200 | ოსი |
| მუდრისი | 32 | 400 | 8 | ნადელ გარეთ 10+20 | 60 | ოსი და ქართ. |
| წორბისი-ღვიაგინა | 65 | 500 | — | — | 700 | ოსი |
| ცხიაჰი | 19 | 250 | — | — | 50 | ოსი |
| ხტანა | 79 | 400 | — | — | — | ოსი |
| იღუორალისა | 41 | 350 | — | — | 150 | ოსი |
| გადიგინა-თელიაგან ტოტანაური | 17 | 150 | — | — | 450 | ოსი |
| ახალშენი | 10 | 100 | 36 | ნად. გარეთ 68+62 | 200 | ოსი და ქართ. |
| თერეგვანი | 27 | 200 | 23 | 56+44 | 150 | ოსი და ქართ. |
| ძალინა | 42 | 270 | — | — | 80 | ოსი |
| მუხური საყარაულო | 15 | 100 | — | — | 70 | ოსი |
| ერწო-ნაგუთნი | 20 | 110 | — | — | 150 | ოსი |
| ნავთი-მორევი | 3 | 15 | — | — | 25 | ოსი |
| ხუნდის-უბანი | 15 | 170 | 61 | ნადელი—ნადელ გარეთ 87+100 | 85 | ოსი და ქართ. |
| ფიქვიგინა | 19 | 160 | — | — | 40 | ოსი |
| ჩდილი | 11 | 80 | — | — | 32 | ოსი |
| ლარისთავი | 19 | 200 | — | — | 40 | ოსი |
| გიორგიწმინდა შინდრა | 20 | 254 | 19 | ნად. გარეთ 33+57 | 95 | ოსი და ქართ. |
| მეტეხი | 20 | 100 | — | — | 150 | ოსი |
| ქურიხევი | 8 | 50 | — | — | 100 | ოსი |
| ბალთა | 48 | 180 | — | — | 35 | ოსი |
| ქვრინისი-ქალეთი | 15 | 200 | — | — | 120 | ქართველი |
| ლოპანი-გვირგვინა | 11 | 150 | — | — | 158 | ოსი და ქართ. |
| ბზების-ხევი | 7 | 35 | — | — | 40 | ქართველი |
| ჯვართ-თელიანი-ბოსტანა | 8 | 40 | — | — | 40 | ქართველი |
| ჯამი . . . | 866 | 6600 | 147 | 254+283 | 3120 | |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ორთაშუა რიცხვით ხიზანზედ მოდის თითო კომლზედ 7 ნახევ. დესეტინა სახნავი, დროებით ვალდებული გლეხებზედ კი უსტავნი გრამოტით—1³/₄ დესეტინა.

### 5. რა გვარად და რა ზომისა უნდა მიეცეს ხიზნებს მამული.

ამბობენ რომ ხიზნებად უნდა ჩაითვალოს ისინი, ვინც ბატონ-ყმობის გადავარდნის დრომდის დასახლებულან, ისინი კი, ვინც შემდეგ მისულან, მოიჯარადრეებად უნდა ჩაითვალოს. მერე როგორ? მუდამ ხომ ჩვენ მოიჯარადრეებთან დავიდარაბაში უნდა ვიყოთ?

ჯერ ისინი, ვინც მოიჯარადრეებად ითვლებიან და რომელნიც ჩაბღუჯიან და ჩაჭკვრიან დედა-მიწას, ყოვლად შეუძლებელია მათი აყრა და მიწების განთავისუფლება მათგან.

ვისაც თავისუფალი მამული უნდა, არ უნდა დაესახლებინათ არც ხიზნები და არც მოიჯარადრეები.

ვინც მიწაში ოფლს ჩაჰღვრის და ამაგს დასდებს, იგი ჰპოვებს იმ უფლებას, რომ მიწა ძნელად-ღა ჩამოერთმევა.

ზემორე ნაჩვენებ ცხრილიდან ვხედავთ,—რომ თითო კომლ ხიზანზედ მოდის 7 ნახ.—დესეტინა სახნავი მამული. რაღა უნდა ჩამოერთვას? ვსთქვათ, ნახევარი მიეცით საკუთრებად ხიზნებსა, მერე როგორ გინდათ დანარჩენი ნახევრის მოხმარება? მემამულე ვერ მოხნავს, რადგან სხვა და სხვა სოფლებშია გაფანტული წვრილ ნაჭრებად, სხვას ვერ გადასცემს, რადგან სხვა ხიზანი არ აიღებს, თუ ისევ იმავე ხიზანს მიეცა, ისევ ისე უნდა ეწვალოს მემამულე, როგორც აქამდისინ იყო, ესე იგი, ხიზანი ზოგს დაადებს ცარიელს, ზოგს საძოვრათ გაუშვებს, ზოგჯერ ლალის არ მისცემს, მემამულე კი სასამართლოებში სიარულს მოუნდება და ამასობაში ცარიელი რჩება.

რომ ხიზნები მოიჯარადრეებად შერიცხონ და მათი უარი მოინდომონ, განა საფიქრებელია, ან შესაძლებელია? მაშინ ხომ ომი უნდა გამოუცხადოთ 900 კომლს ხიზანსა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ისეთი წელიწადი არ გავა, რომელიმე მემამულეს შეტაკება არ მოუხდეს ხიზანთან ლალის გამო, ბევრჯელ სისხლიც იღვრება, რაც დრო მიდის უფრო ერთმანეთს შორის განწყობილება უარესდება. და ამას ბოლო უნდა მოეღოს თუ არა?

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს მემამულესა და ხიზანს შორის ყოველივე ანგარიშები. რაც აკრე მოისპობა ხიზანთა უფლებები, მით მემამულე მოგებული იქნება. როდესაც ჩვენი მამა პაპანი ასახლებდნენ ხიზნებსა, მაშინ უნდა ეფიქრათ, რომ მამული ხელიდან ეცლებოდათ. ეხლა გვიან-ღაა, რაც მოხდა, უნდა შეურიგდეთ დროთა ვითარებას და, რაც ხიზნებს მამული უჭირავთ, მათ საკუთრებად უნდა გადავიდეს.

ისეთ საფრთხეს არას წარმოადგენს ამათზედ მამულის გადასვლა. საფრთხე ის არის, რომ ზოგიერთი მემამულე უცხო პირზედ ჰყიდის ქართველ ერის მამულსა და ეს ხიზნების მამული გაუყიდავი მაინც დარჩება.

სამწუხარო და სავალალო კიდევ ის არის, რომ დღესაც არ ისვენებენ მემამულენი და რაღაც ანგარიშების გულისათვის მდ. ფრონეების სათავეების დამცველ გაუვალ ტყეებში ასახლებენ ხიზნებსა.

მაგალით წინ გვიდევს, ეს 10,000 დესეტინა მამული სხვაზედ გადადის და ნუ თუ არ უნდა გვესმოდეს, რა არის ჩვენი ქვეყნისთვის საზარალო და რა არის კარგი?

ეჰ, რა გაეწყობა ჩვენს უკუღმართობას, რაც ადრე გამოეცლებათ მემამულეებს მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყნისათვის სამჯობინარო იქნება, არ იციან მათი ფასი და მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის! **Legatus.**

# წ.-კ. გ. ს. თელავის განყოფილების წლიური კრება

17 ნოემბერს მოხდება წ.-კ. თელავის განყოფილების წევრთა წლიური კრება, რომელზედაც განიხილავენ წარსულ წლის ანგარიშს, სამოქმედო გეგმას და სხვა საქმეებს.

თელავის განყოფილება 1909 წელს დაარსდა, ამ ხნის განმავლობაში გახსნა წიგნის მაღაზია და სკოლა, სადაც დღეს ასამდე ბავშვი სწავლობს, სწავლის ფული 6 მანეთია, მაგრამ ნახევარზე მეტი მოწაფეები ისე სწავლობენ; მის, წ.-კ. სახელობაზე არსებობს კახეთის სოფლებში 4 ბიბლიოთეკა და სხვ.

ამას გარდა კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი, კიდევ ბევრი საკითხია ყურადღების მისაქცევი, მაგრამ ყველას საშუალება უნდა და ჩვენმა საზოგადოებამ ამ მხარეს უნდა გაუწიოს ანგარიში.

საწევრო გარდასახადი დიდი არ არის, წელიწადში 3 მანეთის გარდახდა არავის გაუჭირდება, მაგრამ ამის და მიუხედავად წევრთა რიცხვი ასამდე არც კი აშ, როდესაც მარტო თელავში 8—9 ათასი ქართველი მცხოვრებია, ხოლო კახეთში—60 ათასი.

თელავი კარგა მდიდარია ინტელიგენციით, მის თვალწინ მიმდინარეობს წ.-კ. საზ. საქმიანობა. თუ მოსწონთ, უნდა თანაუგრძნობდნენ, წევრებად ეწერებოდნენ, ჰშველოდნენ სიტყვით და საქმითა, თუ არა, მაშინაც ყველა შეგნებული საზოგადოების წევრი მოვალეა, ანგარიში გაუწიოს, რჩევა და დარიგება არ დაიშუროს..

იმედია 17 ნოემბრის კრებას თელავის საზოგადოება ბლომად დაესწრობა, იმის და მიუხედავად ითვლებიან თუ არა წევრებად, უნდა გარეშე მაყურებლად, რითაც მეტ ყურადღებას გამოიჩენენ ისეთ სიმპატიურ საქმისას, როგორიც ეს წ.-კ. საზოგადოებაა.

კრებაზე, სხვათა შორის, განიხილავენ საკითხს რაფიელ ერისთავის გარდაცვალების ათი წლის თავის აღნიშვნის შესახებ თელავში.

სულმნათი პოეტი უკანასკნელ წლებში თელავში სცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა. ეს გარემოება თელავში არაფრით არის აღნიშნული. იმ ქუჩას, სადაც პოეტი დაიარებოდა, მწერლის სახელი არც კი ჰქვიან, ხოლო სახლს არაფერი ნიშანი არა აქვს. ამას გარდა თვით განსვენებულის საფლავი ს. ქისტაურში ატიალებულია, მოაჯირი გადაქცეულა, უბრალო ქვაც არ ადევს, ისე რომ მალე აღარც კი დაეტყობა, თუ იქ „სამშობლო ხევსურის“ ავტორი ასაფლავია.

ეს საკითხიც მეტად საყურადღებოა და მოითხოვს ეხლავე, ასე თუ ისე, გადაწყვეტას..

**დავიწყებული.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. გიორგიწმინდა** (ივრის ხეობა) რამოდენიმე დღეა აქეთ მშვენიერი, გაზაფხულისებური ამინდები დაიჭირა. მიუხედავად წვევანდელ გვალვებისა ადგილობრივი მცხოვრებნი არ არიან უმადურნი თავიანთი მოსავლისა. პურისა და ღვინის მოსავალი წელს შედარებით წარსულ წლებთან საშუალოზე მეტია.

სწავლა განათლების სურვილი ამ უკანასკნელ დროს ადგილობრივ მკვიდრთა შორის ძალიან გაიზარდა. ამ სასიამოვნო მოვლენას ერთი გარემოება ეღობება წინ. ეს გახლავთ გიორგიწმინდაში სკოლისათვის მოხერხებული შენობის უქონლობა. ამ საკითხის გამო ამას წინად ხალხმა გადასწყვიტა უფრო მოხერხებული სასკოლო შენობის აგება. საზოგადოებამ საჭირო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა სამოსწავლო მთავრობას და შესაფერი შუამდგომლობაც აღძრა შენობის აგების საქმეში დახმარების აღმოსაჩენად. როგორც გამოირკვა სახალხო სკოლების მეორე რაიონის ინსპექტორის სიტყვებისაგან, საზოგადოების შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება და ხარჯთაღრიცხვაში ნავარაუდევ ხარჯის ნახევარს სამოსწავლო მთავრობა ჰკისრულობს. მრავალგვარ დაბრკოლება ეღობება წინ ჩვენ სკოლას და მის ხელმძღვანელების თანაგრძნობას. საჭიროა ჩვენი ხალხის გულშემატკივრებმა, ჩვენივე ღვიძლმა შვილებმა, რომლებიც საკმაოდ ჰყავს გიორგიწმინდის საზოგადოებას, მეტი თანაგრძნობა გამოიჩინონ სკოლისადმი, სახალხო წიგნების შემოწირვის სახით და სხვა დახმარებით. ყველაფრით ღარიბია აქაური სკოლები. ამ გვარი დახმარების აღმოჩენა მოგვცემს შეძლებას გავაუმჯობესოთ როგორც სკოლის პირობები, ისე შეძლების დაგვარად ხელი შეუწყოთ ხალხში აღძრულ სწავლა-შეგნებისადმი წყურვილის დაკმაყოფილებას.

ამ დღეებში ჩვენი სოფლიდან გადაიყვანეს აქაური მოძღვარი, ყველასაგან პატივცემული მ. ბლაღ. ს. რცხილაძე თავის სამშობლო სოფელ ვაჩნაძიანში (თელავის მაზრა). გულწრფელად უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. რცხილაძის იშვიათმა მხნეობამ, მისმა ფაქიზმა გრძნობამ, სამაგალითო ქცევამ და გულწრფელმა მუშაობამ მის მრევლში დიდი სიყვარული დაიმსახურა. ასეთი ადამიანის განშორებამ დღეს დიდი მწუხარება აგრძნობინა ხალხს. ჩვენს მიძინებულ ერსაც სწორედ ასეთი პროგრესიული და პატიოსანი მშრომელი მოძღვრები ესაჭიროება დღეს. **სტ. ნიკ.—ლი.**

### გალობა თელავის სასწავლებლებში.

არც ერთ აქაურ სასწავლებელში, სამოქალაქო არის იგი თუ სასულიერო, ვაჟთა თუ ქალთა და პირველდაწყებითი თუ საშუალო—გალობის საქმე წესიერად არ არის დაყენებული. თუმცა ყველა სასწავლებელთან არსებობს მგალობელთა გუნდი, მაგრამ უმჯობესია არ იყოს, რადგანაც მათი გალობა თუ სიმღერა ხშირად სიცილს იწვევს და თვით მოწაფენი შესაფერი ხელმძღვანელის უყოლობის გამო ისე გაუბედავად და კრძალვით გალობენ, რომ ადამიანს შეეცოდებათ.

ყველა სასწავლებელში კი ასწავლიან გალობას, ზოგშიც სავალდებულოა, მაგრამ კარგი გალობის მასწავლებელი და მცოდნე პირი კი არა ჰყავთ. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და მოწვეულ იქმნეს მცოდნე და უახლოვნებული

---

თხოულობს საქართველოს ავტონომიას და არა სრულ დამოუკიდებლობას. ავტონომია ხომ სახელმწიფო არ არის და თუ სახელმწიფოს გარეშე ეროვნება ვერ იხეირებს, აშკარაა, მისი ავტონომია ან მისი ულოღიკობაა, ან ფარისევლობა, რასაც მოჰყვება საკუთარი სახელმწიფოს მოთხოვნილების წამოყენება“.*) განა მკითხველს მიხ. მაჩაბლის ზემოხსენებული სიტყვები არ მოაგონდება?..

ამნაირად, უარყოფა საქართველოს ავტონომიისა ძლიერად აკავშირებს გაბატონებულ კლასებსა და დასელებს ფსიხოლოგიურად. მათი ღმერთი ერთია—ეს ღმერთია ცენტრალიზმი. ამ ღმერთის საკურთხეველზე მიაქვთ ყველაფერი და ამით მეორე მხრით უახლოვდებიან სტოლიპინის საეროვნო პროგრამასა. და აი, როგორ.

რუსეთის მეფე ნიკოლოოზ პირველი ერთხელ ასე ესაუბრებოდა ერთ მსხვილ მოხელეს, რომელსაც ლაპარაკი საქართველოზე ჩამოუგდო: არ უნდა იხმარებოდეს ოფიციალ. მიწერ-მოწერაში სიტყვა „საქართველო“. იხმარეთ „კავკასია“, „ამიერ კავკასია“, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნია. დაე ყველას თვალი ჩრდილოეთისაკენ ეჭიროს, დაე გრძნობდნენ, რომ მზე ყველასათვის პეტერბურგში ამოდისო.

დასელები თითქოს შეთქმულანო, ძლიერ პირნათლად ასრულებდნენ ნიკოლოოზ პირველის მცნებას და დარიგებას. უკანასკნელ ხნობამდე ჰირსავით ერიდებოდნენ „საქართველოს“ ხსენებას. რუსეთი, კავკასია, პეტერბურგის პროლეტარიატი. აი, მათი ტერმინოლოგია. მარშან დეპუტატმა ა. ჩხენკელმა ბუნდოვანი სიტყვა წარმოსთქვა და „საქართველო“ ახსენა. თუმცა ვერაფერი გაუგეს, ამხანაგები მაინც ძლიერ გაუწყრნენ. ბ. დნევნიცკიმ გაზ. „პრავდაში“ თავზე კაკალი ამტვრია და დასძინა: „Консулы должны быть на стражѣ“-ო. და ეს „კონსულები“ რუსეთის მთლიანობის დასაცველად უნდა ფხიზლობდნენ!

ავტონომიას კი სასტიკად უარჰყოფენ დასელები, მაგრამ რაღაცას მოითხოვენ. თითონაც არ იციან, ჯერ რა დაარქვან მას, არ მოუხათლავთ. პროგრამაში კი ძველი „საოლქო თვითმართველობა“ უწერიათ (მესამე მუხლი).

რაღა ეს საოლქო თვითმართველობა და რაღა მიხ. მაჩაბლის ერობა. ასეა ყოველთვის. დასელებსაც ეკრძალებათ და ეშინიანთ ლოიალიზმს უღალატონ საქართველოს საკითხში და წამოაყენონ იგი, როგორც საკითხი მთლიანი ერთეულისა, რომელსაც სიცოცხლე და ცხოვრება სწადიან, წინსვლა ესაჭიროება.

დიდი მსგავსებაა აგრეთვე დასელებსა და თავად-აზნაურობის შუა იმაში, თუ რანაირად ექცევიან ქართული კულტურის, ენის საკითხსა. ჯერ თავადებს მივხედოთ.

თავად-აზნაურობამ რა როლი ითამაშა ჩვენი ენის დენაციონალიზაციაში,—ყველამ უწყის. მან პირველმა დაივიწყა ოჯახში ქართული ენა და აღარც ლაპარაკი ეხერხება. იგი ამიტომ გამოსცემს „რუსულ“ გაზეთებს, რომელნიც ვითომ ქართველ ერს ემსახურებიან, ნამდვილად კი მის გადაგვარების პროცესს ხელს უწყობენ. თავად-აზნაურობა ხალისით აარსებს პროგიმნაზია-გიმნაზიებს, სადაც რუსეთის მოხელეებისათვის ძლიერ კარგ მომზადებას აძლევენ. ამათ არის ჩიჩიხი ზოგიერთ შეგნებულ პირთა, საჭიროა ისეთი სკოლები, სადაც ჩვენთვის საჭირო სამეურნეო ცოდნას მივიღებთო.

დასელები? მთელი მათი ქცევა საეროვნო მხრით მთლად ამ თავად-აზნაურობის იდეური გამართლებაა. ენის საკითხს ზევიდან დაჰყურებენ და მხოლოდ საპროპაგანდო საშუალებად მიაჩნიათ. აბა, მოიგონეთ, თუ როდისმე მათ გაზეთში დაბეჭდილიყოს საქართველოს კულტურის შესახებ რაიმე გამოკვლევა, ან ენისა, ან ისტორიის თაობაზე. თუმცა მათი პროგრამის მერვე მუხლში არის ენის თავისუფლების მოთხოვნილება, მაგრამ ეს თავისუფლება უშინაარსო ფრაზაა, თუ იმას ამსრულებელი ორგანო არა აქვს. გარდა ამისა, ეს საკითხი მათ მესამე ყრილობაზე მხოლოდ ერის ხმის უმეტესობით გადასწყდა. დასელები ხელს უწყობენ თავად-აზნაურობას გიმნაზიების გახსნაში და როდესაც სამეურნეო სკოლაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ამ 15 წლის წინად ძალიან გადასულებულმა განსვენებულმა გ. წერეთელმა მას წინააღმდეგ გაილაშქრა. ახლანდელ არჩევნებში დასელები ხალხს ბევრს დაჰპირდნენ, მაგრამ სათათბიროში ყველაფერი დაივიწყეს. როდესაც იქ ტფილისის პოლიტეხნიკუმის გახსნის საკითხი ირჩეოდა, დეპ. ჩხენკელმა პათეთიურად წარმოსთქვა: დაგვიარსეთ უმაღლესი სასწავლებელი, მაგით აღვილად მაინც გაგვარუსებთო.

და ამას გათვისცნობიერებული ერის შვილი ამბობს გაუწითლებლად; ვერც კი გრძნობს, თუ როგორ იმცირებს თავსა!

რუსული, რუსული—ყვირიან დასელები. რუსეთის მთელი სახელმწიფოებრივი სისტემა „ინოროდცების“ გასარუსებლად არის მიმართული. დიდი ძალა გვჭირია, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ენა, თავისებურობა. ოჯახი, სკოლა, თეატრი, ყველაფერი გაჟღენთილია რუსიფიკაციით, ყველა მისი დამხმარეა. ამ დროს გამოდიან დასელები და რუსულ გრამატიკით ხელში ქართველ მუშას ჩასჩიჩინებენ. ამის თაობაზე ერთი მათგანი (პ. გელეიშვილი) სწერდა კიდევაც. განსვენებული ი. გოგებაშვილის საფლავზე ერთმა მათგანმა მოლაპარაკემ ხმა მაღლა განაცხადა: ქართულზე მეტად რუსული გვინდაო. ვინ ამბობს, რომ რუსული საჭირო არ არის. დიახ, საჭიროა, მაგრამ იმას თქვენი ქადაგება აღარ სჭირია, მეტია. თითქოს ცოტანი ჰყავდნენ ამ საგანს მზრუნველნიცა და მქადაგებელნიც!

ამიტომ არის, რომ დასელების ასეთი ქცევა სრული გამართლებაა თავად-აზნაურობის „რუსული“ გაზეთების არსებობისა, მათი მოღვაწეობისა. ერთის სიტყვით, აქაც დიდი თანხმობაა. დასელები თეორეტიკოსებად გამოდიან და თავად-აზნაურობა პრაქტიკოსია, ცხოვრებაში ანხორციელებს მათ იდეებსა.

დაგვრჩა ერთი დიდი საკითხი. ეს არის საკითხი ტერიტორიისა, ქართველი ერის მიწა-წყლისა. ვნახოთ როგორ ეპყრობიან ამ საკითხს თავად-აზნაურობა და დასელები.

საქართველოს ტერიტორია, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ჰქელდება. დიდძალი მამული ჩვენებურ თავად-აზნაურობისა მოსულ ხალხის ხელში გადადის. ჩვენი თავადები ერთმანეთს ეჯიბრებიან მამულების გაყიდვაში და ქვეყნის ინტერესები არაფრად მიაჩნიათ. ყოველი შეგნებული მამულიშვილი მოვალეა ამ მოვლენას ებრძოლოს. რასაკვირველია, ტყუილი იქნება მგლის თავზე სახარების კითხვა, რწმუნება თავადებისა, რომ ტერიტორიის დაკარგვა საქართველოსათვის საბედისწეროა და სხვა და სხვა. ჩვენ მხოლოდ უნდა ვცდილობდეთ ეს მიწა-წყალი ჩაუვარდეს არა უცხოეთიდან გადმოხიზნულებს, არამედ ადგილობრივ ელემენტებს, ქართველ გლეხობას. თორემ თვით ეს პროცესი, გაღარიბება თავად-აზნაურობისა ძალით ვერ შეჩერდება და არც ჩვენი ნაქმეა მასთან ბრძოლა. და როდესაც ვხედავთ, რომ ქართველი გლეხისათვის საჭირო მიწა-წყალი გადმოხიზნულებს უვარდებათ ხელში—სევდა გულს გვიკლავს და მოვუწოდებთ ყველას მოქმედებისაკენ, შეგნებულად ამ საქმეში ჩარევისაკენ.

რასა შვრებიან დასელები? ისინი იცინიან, რაღაც უხარიანთ: ჰხედავთ, როგორ სწუხან, რანაირად ნაღვლობენ? ხომ გეუბნებოდით თავად-აზნაურობის სისხლი და ხორცნი არიანთქო. ჰნახეთ ერთი, რანაირად სწყინთ მათი გაღარიბებაო—ამბობენ დასელები და კიდევ იცინიან. და როდესაც ეპასუხებენ: ჩვენ გლეხებს დაურჩინოთ მიწა-წყალიო, ისინი მაინც ექვიანად იღიმებიან. განა სულ ერთი არ არის ვის ერგება მიწა? გლეხობა ხომ უნდა გაპროლეტარდეს ადრე თუ მალე, მაშ რათ უნდა მიწაო. კაპიტალი, კონცენტრაცია, წვრილი ბურჟუაზია, პროლეტარიზაცია,—აირევა ამისთანა სიტყვები ერთმანეთში და კიდევ ირონიით, კიდევ ღიმილით გვიპასუხებენ. იცინიან ამ საშინელ ტრაგედიის ყურებაში, იცინიან მაშინ, როდესაც ჩვენ ერს ამ მიწა-წყლის დაკარგვის გამო ვინ იცის, რა მოელის.

ჩვენი თავად-აზნაურობა და დასელები საოცარის გულგრილობით ეკიდებიან ამ საკითხსა. პირველისას არაფერს ვიტყვით, რადგან მათ სხვანაირად მოქცევა არც შეუძლიანთ. ხოლო მეორენი არიან საინტერესონი. ჩვენი ერის მიერ ტერიტორიის დაკარგვაში ისინი არა ჰხედვენ რაიმე არა ჩვეულებრივ სამწუხარო მოვლენას. ისინი უკვე შეურიგდნენ საქართველოს მოსპობის პროცესს, სამუდამოდ დამარხეს იგი. გ. ნარიძე მთელი თავის წერილებში იმის მტკიცებაშია, როგორც ზემოდ ვსთქვით, რომ საქართველო არ არის ეკონომიური ერთეული, არ არის ნაციონალური ორგანიზმი, ამიტომ ძირ ავტონომიაო. იგი ამტკიცებს, საქართველო მხოლოდ ქუთაისის გუბერნია დარჩენილაო და ამას ისეთი გულგრილობით, ასეთის ჰომიროსებური დამშვიდებით მოგვითხრობს, თითქოს უხაროდეს, უხაროდეს, რომ მასალა ეძლევა ავტონომიისა და წყეული ავტონომისტების „დასამარცხებლად“...

კმარა. ზემოხსენებული უკვე ნათელჰყოფს, რომ ჩვენი დასელები და თავად-აზნაურობა ფსიხოლოგიურად ერთ ნიადაგზე დგანან, ერთნაირად გადასწყვეტენ საეროვნო საკითხსა. ამის თაობაზე მთელი გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს, მაგრამ ჩვენ იმას დავკმაყოფილდეთ, რაიც ერთის თვალის გადავლებით შევნიშნეთ და აღვნიშნეთ.

**ქ. რამველი.**

*) ნ. ჟორდანიას „რჩეული ნაწერები“ გვ. 627.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]ებელი. რასაკვირველია თვი-[illegible] სასწავლებელში იმდენი ფუ-[illegible] იქნება, რომ ცალკე მასწავლებლის მოწვევა შეიძლებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში რამდენიმე სასწავლებელმა ერთი მასწავლებელი უნდა მოიწვიოს, რომელიც თავისუფლად მოასწრობს გალობის ჯეროვნად სწავლებას და ჯამაგირიც საკმარისი ექნება.

### დავიწყებული.

**ჭიათურა.** არ იქნა და არა, ჯერ კიდევ ვერ მოწესრიგდა ჩვენი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე. კარგი ხანია, რაც ბიბლიოთეკამ წიგნები მიიღო, მაგრამ რა გამოვიდა? საქმე ისევ ცუდ დონეზეა დაყენებული.

სექტემბრის განმავლობაში სამკითხველოით 1048 კაცს უსარგებლია, ოქტომბრის განმავლობაში კი 1087 კაცს.

უნდა აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელიც თან დაყვება ჩვენ კულტურულ დაწესებულებებს: დაარსდება თუ არა რაიმე კულტურული დაწესებულება, მაშინვე გვერდით ვილაცა გაალებს... ყავახანას, სამიკიტნოს. თეატრის გვერდზე, მაგალითად, ყავახანა არის გახსნილი და ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად შეუფერებელია ხელოვნების ტაძრის გვერდით ასეთი ახირებული მეზობელი. აგრეთვე სჭირს ბიბლიოთეკა-სამკითხველოსაც: მის შესასვლელ კარებთან გახსნილია ყავახანა-სამიკიტნოები და სარეცხ წყალსა და სხვა უსუფთაობას ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წინ, გზაზე ღვრიან.

6 ნოემბერს შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხნენ სოფელ სვერის შეძლებულ გლეხს ცუცქირიძეს და ფული მოთხოვეს. მოხუცმა ცუცქირიძემ და მისმა შვილმა ავაზაკებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ამიტომ ავაზაკებმა მოხუცი ცუცქირიძე მოჰკლეს, ხოლო შვილმა მისმა ორი ავაზაკის დაჭრა მოასწრო. ფიქრობენ, ამ უკანასკნელების ჭრილობა მძიმე უნდა იყოს. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ. პოლიციამ ენერგიული ღონისძიება მიიღო მათ აღმოსაჩენად.

**დ. მამათელი.**

## მუშათა ცხოვრება

### მუშათა გაფიცვა.

4 ნოემბერს რუსეთ-ბალტიის ქარხნის საავტომობილო სახელოსნოს მუშები გაიფიცნენ. უთანხმოების მიზეზი ჯამაგირის დროზე დაურიგებლობაა. მუშებმა საქარხნო მეთვალყურე დაიბარეს. მეთვალყურემ მოითხოვა ჯამაგირების დარიგება.

ამავე დროს დაიწყო პასტორის სამექანიკო ქარხნის მუშათა გაფიცვაც. მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს ქარხნის ადმინისტრაციას.

### კრების ძებნა.

3 ნოემბერს მუშათა საპროფესიო საზოგადოების სადგომში პოლიცია მივიდა, ბინა გაჩხრიკეს. იქ არავინ აღმოჩნდა, პოლიციამ ცოტა ხანს დაჰყო ბინაზე. როგორც გამოირკვა, პოლიციას კრების შეპყრობა ჰსურდა, რომელზედაც „დეპუტატებიც" უნდა ყოფილიყვნენო.

### საპროტესტო გაფიცვა.

**პეტერბურგი.** 6 ნოემბერს პეტერბურგის საოლქო სასამართლოში დანიშნულია 6 მუშის საქმის გარჩევა. მათ ჰბრალდებათ ობუხოვის ქარხანაში საეკონომიო გაფიცვის მოხდენა და გაფიცვაში მონაწილეობა. 6 მუშა სამართალშია მიცემული მე-1359[5] მუხლის ძალით. ამ მუხლის ძალით ისჯებიან სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელენი გაფიცვაში მონაწილეობისთვის. მუშები იმით არიან გამოცხადებულნი, რომ ისინი მოხელეებად ჩასთვალეს იმ დროს, როდესაც საანგარიშო წიგნაკში მუშებად ირიცხებიან. ამავე დღეს გაასამართლებენ პოლგეს ქარხნის მუშებს, რომელთაც გაფიცვაში მუშათა წამქეზებლობა ჰბრალდებათ.

ეს ორი საქმე პეტერბურგის მუშებს ფრიად აღელვებს.

პუტილოვის ქარხანაში საღამოთი მუშათა მიტინგი გაიმართა. მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. მიტინგზე დაადგინეს, 6 ნოემბერს დილით სასამართლოსკენ გაემართნენ დემონსტრაციის მოსახდენად. გადასწყვიტეს აგრეთვე ერთი დღით საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადონ. მართლაც ექვს ნოემბერს პეტერბურგის ბევრ ქარხანაში მუშაობა შესწყდა. ნევის მიდამოებში გაიფიცნენ: ნევის გემთა საამშენებლო ქარხანა, პალის ქარხანა, რუსეთ-ამერიკის ქარხანა და სხვა.

ვასილიევის კუნძულზე მუშაობა რვა ქარხანაში შესწყდა.

პეტერბურგის მხარეს გაიფიცნენ 15 ქარხნის მუშები. ვიბორგის მხარეს თითქმის ყველა ქარხანაში მუშაობა შეჩერებული იყო.

გაფიცულნი მუშები ჰმართავენ მიტინგებს ნიშნად უკმაყოფილებისა. მუშები სოც.-დემოკ. ფრაქციას ავალებენ, შეიმუშავონ და სათათბიროში განსახილველად შეიტანონ მუშათა გაფიცვის თავისუფლების კანონპროექტი.

6 ნოემბერს, დილის 9 საათზე სასამართლოს შენობის წინ, 200 მუშა შეიკრიბა. მათ სასამართლოს დარბაზში შესვლა მოიწადინეს. სასამართლოს შენობას გარშემორტყმული ჰყავნდა პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი. დილის 11 საათზე სასამართლოს ახლო-მახლო ქუჩები გაფიცულ მუშებით გაივსო.

პოლიცია სცდილობდა სასამართლოს შესავალი გაენთავისუფლებინა მუშებისაგან.

მუშებმა რამდენიმე ალაგას დემონსტრაცია მოახდინეს. სარევოლიუციო სიმღერებით მუშები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და მიტინგებს ჰმართავდნენ. პოლიციამ რამდენიმე მუშა შეიპყრო.

საოლქო სასამართლომ ობუხოვის ქარხნის მუშებს სამ-სამი კვირით ციხე მიუსაჯა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლოს პრაქტიკაში ეს პირველი მაგალითი იყო გაფიცულ მუშათა პასუხისგებაში მიცემისა.

მუშებს იცავდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი კერენსკი.

ოფიციალურის ცნობით 6 ნოემბერს პეტერბურგში გაფიცული იყო 83,539 მუშა.

7 ნოემბერს თითქმის ყველა ქარხანაში მუშაობა განახლდა.

6 ნოემბერს მოსკოვში 8,000 მუშა იყო გაფიცული სამართალში მიცემულ მუშათა სათანაგრძნობლად.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

12 ნოემბერი.

### უცხოეთი.

**სოფია.** ბულგარეთის მთავრობამ მიჰმართა თავის წარმომადგენლებს დიდ სახელმწიფოებში შემდეგის ცნობით: მიუხედავად საერთაშორისო სამართლისა, ბერძნები არ ანთავისუფლებენ ბულგარელ ტყვეებს. გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა საკითხი გადასცეს პუანკარეს სამედიატორო სამართლის დასანიშნად. ბულგარეთის მთავრობას ცნობა მოუვიდა, რომ ტყვეები ფრაკიიდან სალონიკში წაიყვანეს და სამხედრო სამართალში მისცესო. მათ ჰბრალდებათ ამბოხების მოხდენა. რადგანაც ზოგი ტყვე ბულგარელია და ზოგიც იმ მიწა-წყლის მცხოვრები, რომელნიც შემდეგ სერბიისა და საბერძნეთის ხელში გადავიდა, ამიტომ ისინი ბულგარელთა ჯარში ყოფნის დროს თავის მოვალეობას ასრულებდნენ. ბულგარეთის მთავრობა აცხადებს: ერთი ტყვეც რომ დასაჯოს, ბულგარეთი ამას მკვლელობად ჩასთვლისო. შედეგის პასუხისგება საბერძნეთს დაეკისრებაო.

**რომი.** ახალშენების სტატ-სეკრეტარი კოლიზიმო ფოსტის მინისტრად დაინიშნა. სენატის პრეზიდენტად დაინიშნა მანფრედი.

**ლარაში.** ესპანიის ახალშენმა ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ სოფ. ომარი აიღო. მაროკოელები გასდევნეს.

**ტოკიო.** ფორმოზის მკვიდრთა შეთქმულება იაპონელების წინააღმდეგ მოწყობილი იყო დაბალ მოხელეების მიერ. შეთქმულებში მონაწილეობდნენ კანტონელი ჩინელები. შეთქმულებს განზრახვა ჰქონდათ ამოეწყვიტათ იაპონელები და ფორმოზის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ეღიარებინათ. 300 კაცი დააპატიმრეს.

**ბუდაპეშტი.** გაზეთების ცნობებით უგრორუსთა პროცესი გადაიდო საგარეო პოლიტიკის მოსაზრებით.

**მექსიკო.** სანოვაგის ფასებმა აიწია. ფინანსიური მდგომარეობა სერიოზულია. ჯარში გაწვევამ ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ ერთხმად მიიღო რვა საათის სამუშაო დღე მაღაროს მუშებისათვის.

### რუსეთი.

**ბეჭვდითი სიტყვის კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიაში.**

**პეტერბურგი.** კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა გრძელდება. ხმის უმრავლესობით უარჰყვეს 59 მუხლი. შესწორებით მიიღეს ამ მუხლის შენიშვნა. შენიშვნაში აღნიშნული იყო, რომ ხალხში დროებითი გამოცემის გამოსვლის წესრიგი არ ეხება მთავრობის გამოცემასო. კომისიამ ასეთი შესწორება შეიტანა: „დროებითი გამოცემათა გამოსვლის წესრიგს ქალაქებში, არა ექვემდებარება მთავრობისა, ქალაქებისა, ერობებისა, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა გამოცემანი." 16 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 14-სა მე-60 მუხლი მიიღეს. ამ მუხლის ძალით იმ ადგილებში, სადაც 10.000-ზე ნაკლები მცხოვრებია, დროებითი გამოცემათა გამოსვლა შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით უნდა მოხდესო. ამ მუხლს შენიშვნა გაუკეთეს: ისეთი გამოცემათა გამოსვლა, მარტო განცხადებებს რომ შეიცავენ, გუბერნატორის ნებართვით შეიძლება. ამავე წეს ემორჩილებიან ის გამოცემანი, რომელნიც მხოლოდ სააგენტოს დეპეშებს ჰბეჭდავენ.

უკამათოდ მიიღეს 61, 62 და 64 მუხლები. მე-63 მუხლი მცირეოდენის ცვლილებით მიიღეს.

განსახილველია კანონ-პროექტის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია იმ გაზეთების საწინააღმდეგოდ მიმართული ზომები, რომელნიც მავნებლად მრიან აღიარებულნი. ხანგრძლივსა და ცხარე კამათს იწვევს მე-65 მუხლი საკონტროლო ვადაზე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინეს: გამოცემანი, რომელნიც 32 გვერდზე ნაკლებს შეიცავენ გამოსვლამდე 24 საათის წინ საკონტროლოდ უნდა წარუდგინოს; თუ 32 გვერდს აღემატება, საკონტროლოდ გამოსვლისთანავე უნდა წარუდგინოს.

**პეტერბურგი.** საკანონმდებლო მოსაზრებათა შესამუშავებელ კომისიის თავმჯდომარედ ოქტომბრისტი ლიუცი აირჩიეს.

**ვარშავა.** ადგილობრივ ქარხნების 20.000 მუშა გაიფიცა.

**რიგა.** „პროვოდნიკის" ქარხნიდან 500 მუშა დაითხოვეს. დანარჩენებმა მუშაობის განახლების სურვილი განაცხადეს.

**კიევი.** საბოლოოდ გამოაცხადეს ბეილისის საქმის განაჩენი. წაიკითხეს განაჩენის ოთხი მუხლი; სასამართლოს ხარჯი ხაზინას დაეკისრა; იუშჩინსკის დედის საჩივარი სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

## ღია პასუხი

**ბ. პეტრე ახალკაციშვილის ღია წერილის გამო.**

„სახალ. გაზეთ"-ის № 1041 მოთავსებული იყო ღია წერილი, რომელშიაც ბ. პეტრე ახალკაციშვილი აღნიშნავდა იმ შეურაცხყოფას, რომელიც მას მიაყენეს კვირას, 10 ნოემბერს, ქართულ თეატრში. როგორც ეტყობა ბ. პ. ახალკაციშვილს უმტყუვნა მეხსიერებამ და სრულიად არ ახსოვს ის, რაც მან თვითონ იმ დღეს ჩაიდინა.

იძულებული ვარ, რახან ბ. პეტრე ახალკაციშვილმა საჯაროდ აღძრა ამის შესახებ ლაპარაკი, ყოველისფერი მოვაგონო და აღვადგინო სიმართლე. როგორც გამოძიებამ და საქმის გამორკვევამ დამარწმუნა არც ერთს „კაპელდინერს" თქვენთვის ბ. პეტრე, მუჯლუგუნი არ წაუკრავს და ხელით არ შეგხებიათ, მხოლოდ გთხოვეს, რომ ის ადგილი დაგეტოვებიათ, სადაც დგომა აკრძალულია, რადგანაც სხვა მაყურებელთ უშლიდით. თქვენ ეს არ გესიამოვნათ და ასტეხეთ ერთი ჩხუბი და დავიდარაბა, უწოდეთ „კაპელდინერს" „უზრდელი", ვირი"-ო. მგონია რომ თქვენ სხვაზედ კარგად უნდა იცოდეთ, რომ „კაპელდინერი" ადამიანია და თავმოყვარეობის და პატიოსნური მოპყრობის უფლება აქვს. თქვენ ამით არ იკმარეთ, ჩამობრძანდით კასაში და აქ შეუწყნარებელი შეურაცხყოფა მიაყენეთ კასირს ქალს, უწოდეთ „ქურდი" და „მცარცველი", მიტომ რომ გაბედა და გთხოვათ თეატრის კანტორაში მიბრძანებულიყავით და იქ მიგეღოთ პასუხი. მუშტებით კასა კინაღამ დაამტვრიეთ და მადლობელი უნდა ვიყვეთ თქვენი ამხანაგისა, რომელმაც ხელი მოგკიდათ და წაგიყვანათ თეატრიდან. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა თქვენ რომ მეორე დღესვე ან თუნდა იმ საღამოსვე მიგემართად თეატრის კანტორისათვის: ყოველისფერი მაშინათვე გამოირკვეოდა და დიმნაშავეც, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, შესაფერ ჯილდოს მიიღებდა. მაგრამ თქვენ სხვა გზაა ირჩიეთ და მიჰმართეთ ბეჭვდითი სიტყვას. ეგ თქვენი სრული უფლებაა და აღსრულდეს ნება თქვენი. იძულებული ვარ, ჩემდა უნებურად, ეს წერილი მოვათავსო გაზეთში.

გამგეობის წევრი **ი. გედევანიშვილი.**

## ღია წერილი

**ზუბალაშვილის სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრეს.**

წარსულ სეზონში აღნიშნულ წრეს გადავეცი ჩემგნით თარგმნილი პიესა „უმუშევარნი" ბელოისა და სიტყვიერად დავავალე, რომ ერთი წარმოდგენის შემოსავალი გადაედო მეტეხის ტუსაღთათვის ქართულ წიგნების შესაძენად. ეს პიესა ამ მიზნით ვთარგმნე და ტუსაღებს დავპირდი პირველი წარმოდგენის შემოსავალი ქართულ წიგნებისთვის გამომეთხოვა. რუსი, ქართველი, თათარი, სომეხი თუ სხვა რომელიმე ეროვნების ტუსაღი სულ ქართულ წიგნს გაიძახის. ერთი პატარა შკაფი აქვს დათმობილი ქართულ წიგნებს ტუსაღების წიგნსაცავში, რომელიც ყოველ წიგნების დარიგების დროს სრულიად ცარიელია ხოლმე. დიდია ტუსაღებში ქართული წიგნის მოთხოვნილება და ამიტომ მათი დაპირება ამ მხრივ ჩემს მოვალეობად ჩავთვალე. გამოვნახე ზემოაღნიშნული საშუალებაც, მაგრამ წრის წარმომადგენლებმა ცოტა არ იყოს გამიძნელეს ეს საქმე. ასე გადმომცეს, ვითომც მთავრობა წინააღმდეგი გახდებოდა ასეთ წარმოდგენის გამართვაზე და უკეთესი იქნება გონორარის სახით მიიღო რამოდენიმეო და წიგნებს მოანდომოო.

დავთანხმდი ამ წინადადებას და წერილობითი განცხადებაც შევიტანე წრის გამგეობაში, რომ გადაეწყვიტათ, რამდენს მომცემდენ. უგონოროროდ ნებას არავის ვაძლევდი ამ პიესის წარმოდგენაზე. მიუხედავად ასეთის განცხადებისა, წრემ შარშან სამჯერ დასდგა ეს პიესა, ორჯელ მომატებულის ფასებით და შემოსავალიც სრული მიიღო. წრეულს ერთხელ დასდგა. გადაწყვეტილი იყო მოეცათ 18 მან. ველი, არაფერი ისმის და, როგორც გადმომცეს, არც ფიქრობენ ჩემი თხოვნის ასრულებას.

მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ერთხელ და საბოლოოდ მოვსპო ამ საგნის შესახებ ლაპარაკი ზემოაღნიშნულ წრესთან და მოვაგონო დაპირება—გადაწყვეტილება, თუ იყო იგი, გადმომცეს მე გონორარი 18 მ. რომელსაც, უსათუოდ წიგნების ყიდვას მოვანდომებ, ან წრის გამგეობამ თვით იდვას თავზე ამ ფულით წიგნების ყიდვა და გადაცემა ტუსაღების წიგნთსაცავში. ამ ფულის დახარჯვის ანგარიში და წიგნების რაოდენობა საჭიროა გამოცხადდეს ჩვენს გაზეთებში.

**ლადო ცაგარელი.**

## წერილი რედ. მიმართ

დიდათ პატივცემულო ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩვენი უგულითადესი მადლობა უძღვნათ ყველა იმ დაწესებულებებს და პირებს, რომლებმაც ამა თუ იმ ნაირად გამოგვიცხადეს სამძიმარი ჩვენის მძიმე დანაკლისის გამო.

**განსვენებულ ალექსანდრე ქალანთარის ქვრივი და შვილები.**

ბატონო რედაქტორო! სახალხო გაზეთის 1041 ნომერში ბატონი კორდელი ბძანებს („ქართული ეკლესია და ქართული გალობა"), რომ ერთი ნაწილი ზ. ჩხიკვაძის მგალობელთა გუნდისა, რომელიც მას განუზრახავს შეადგინოს და დაყოს ქალაქის ქართულ ეკლესიები, ანჩისხატის ეკლესიაშიც იგალობებსო. მე ამის შესახებ ჯერ-ჯერობით სრულებით არაფერი ვიცი; მგალობელთა გუნდიც მყავს, რომელიც სამხმოვან ქართლ-კახურ კილოზე გალობს ბ. მიხაილ კავსაძის ლოტბარობით. რომ ამ გუნდმა გული არ აიცრუოს რწმუნებულ ჩემდამი ეკლესიაში გალობაზე, არ იფიქროს, ვითომც მე მათი გალობით უკმაყოფილო ვარ და სხვებთან მოლაპარაკებას ვმართავ, ამით ვაცხადებ, რომ ანჩისხატის მგალობელთა ტკბილ სამხმოვან გუნდს თან და თან წარმატება ეტყობა, ეკლესიის მრევლიც და კრებულიც სრული კმაყოფილია თვის მგალობელთა გუნდისა, რომელსაც ჩვენ ვერ გავაკვირვებთ დიდი სასყიდლის გაღებით. ამ მხრივ ანჩისხატის ეკლესია სამწუხაროდ ვერ მიბაძავს მდიდარ ეკლესიებს, როგორიც არიან დიდუბისა და ქვაშვეთის საყდრები.

ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი
**დეკ. ნ. თალაქვაძე.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვა: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. ბურჯენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 ექტორი ბ. ა. ნავასარდიანი.



მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკაზის" ნომრები იყო, გაიღო
სამკვიდრო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
თვიურებს დიდი შეღავათი. 1552



სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511



ბაღოსნობა
ძმ. ავსარკისოვებისა,
[სადგ. ხრამი, კავკ. რკ. გზა].
ჰგზავნის ხეხილის ნერგებს საზღვარგარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და საწალკოფო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს ხელმისაწვდომ ფასად. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 633



ვღებულობ ყოველგვარ შესაკერს
ვკერავ კაბებსა
და სხვა ტანისამოსს, ძალიან პირიან ფასად. ვიყვან შეგირდ ქალებს.
მალაკნების ქუჩა, № 27, ბინა 10. 800



დაიწყო ბეჭდვა და ამ წლის დეკემბრის ოცში გამოვა გასასყიდად ახალი გამოცემა
„ვეფხის ტყაოსნისა"
სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.
ტექსტი იმ გვარად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება, თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში თოთხმეტ რედაქციის გავლის შემდეგ 1,500 ტაეპოვანი „ვეფხვის ტყაოსანი" გარდაიქცა 2,400 ტაეპოვანად. თოთხმეტი რედაქცია სათითაოდ იქნება ნაჩვენები. წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიაც განხილული იქნება „ვეფხის ტყაოსანი" და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი და რამოდენიმე „ვეფხის ტყაოსანის" უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერების მიხედვით და კიდევ ურცხო და საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი. წიგნი დასურათებული იქნება, იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება სამი მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს და ფულსაც შემოიტანს, მისთვის ეღირება 3 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს ხალდად არა ნაკლებ ხუთი ცალისა, მას თითო წიგნი დაუჯდება 1 მან. 75 კაპ. წიგნის დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში (სასახლის ქუჩაზე) და თვით გამომცემელთან. ტფილისის გარედან ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Высшіе Женскіе Курсы. Сергѣю Нестеровичу Какабадзе. 1593



მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძევეილოვები.
პუშკინის ქუჩა, სახლ. № 9.
ტელეფონი №1,712.
ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით უიტკა და ხმელი სოკო [illegible]
კონსერვები. 1560



ოქროს მედალი. ოქროს მედალი.

GRAND-PRIX
შ ა ლ ი ე რ ი
მოსკოვის საქარხნო საწყობი
ვლადიმერ ალპატოვისა
[illegible] № 23, [illegible] № 14—29. [illegible] 1393



გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.



გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის პიესა
„ემიგრანტი",
დრამა 4 მოქმედ.
ფასი 30 კაპ.